

სცენარი

მიწისძვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში

სცენარი რისკის მიხედვით: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში. ჩოხატაურის მერიის შენობა 3 სართულიანი კაპიტალური ნაგებობაა, რომლის მზიდი კონსტრუქციები სიძველის გამო ხასიათდება საშუალო სიდიდის ბზარებით. მიწისძვრის შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს შენობის საშუალო ან მძიმე ხარისხის დაზიანება, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალური, ენერგეტიკული ქსელების მწყობრიდან გამოსვლა, შესაძლოა დარღვეულ იქნას კავშირგაბმულობა, გადაყრავდეს ავეჯი და მძიმე კარადები, ჩაიმსხვრეს მინები და ჩამოცვივდეს ბათქაში. შესაბამისად შესაძლოა შენობაში მყოფმა პირებმა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრავმები და ჭრილობები. მზიდი კონსტრუქციის დაზიანებას შესაძლოა მოჰყვეს შენობის ცალკეული ელემენტების ნგრევა და გასასვლელების (მათ შორის საევაკუაციო) ჩახერგვა.

საგანგებო სიტუაციის სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პრევენცია

მიწისძვრის შედეგების პრევენციის მიზნით საიმედოდ და მყარად უნდა მიმაგრდეს ავეჯი კედელთან. საოფისე ინვენტარი მყარად უნდა დაფიქსირდეს მაღალ თაროებზე. დაცული უნდა იქნას უსაფრთხო მანძილები სამუშაო მაგიდებსა და შემინულ ღიობებს შორის. გეგმიურად უნდა მიმდინარეობდეს შენობების სეისმომდებლობის ამაღლების პრევენციული ღონისძიებები მოქმედი სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტებისა და ნორმების შესაბამისად.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა;
- დ) მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- ე) შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება;
- ვ) დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ცხრილი 1-ში.

გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დეტალური გეგმა სცენარი
რისკის მიხედვით

ცხრილი 1

#	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება / კორექტირება / დახვეწა	წელიწადში ერთხელ		
2	შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ორგანიზება (კომუნიკაციის, ნაგებობების, ელექტროობის, გაზის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება)	კვარტალში ერთხელ	მერიის ტექნიკური პერსონალი	
3	დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შემღობისდაგვარად ფიქსაცია	კვარტალში ერთხელ	მერიის ტექნიკური პერსონალი	
4	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი	
5	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი	
6	შენობის გარე პრევენციული სამშენებლო-ტექნიკური ღონისძიებების ორგანიზება, ეზოს მოწესრიგება ელექტრო გადამცემი ხაზების საყრდენების გამაგრება, გარე და შიდა სანიაღვრე არხების შეკეთება)	წელიწადში ორჯერ	არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი	

მზადყოფნა

მერიის თანამშრომლები ინფორმირებული უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს, პერიოდულად წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორგანიზება უნდა გაუკეთდეს თემატურ მეცადინეობებს, ვიქტორინებს და კონფერენციებს მიწისძვრებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე. პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს როგორ მოიქცეს მიწისძვრის დროს შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

მზადყოფნის ღონისძიებები:

- თანამშრომლებში ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების და სწავლებების პერიოდული დაგეგმვა (6 თვეში ერთხელ) მიწისძვრასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- საევაკუაციო იმიტირებული სწავლება;
- საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა;
- სახანძრო-სამაშველო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ცხრილ 2-ში.

გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებების დეტალური გეგმა სცენარი რისკის მიხედვით

ცხრილი 2

#	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგები /სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ყოველ 6 თვეში ერთხელ	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	

2	საევაკუაციო იმიტირებული წვრთნა	ყოველ 6 თვეში ერთხელ	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი შს სსდ სსმს-ის სახანძრო სამაშველო დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის საგანგებო სიტუაციების მართვის რაიონული სამმართველოს უფროსი	
3	საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა	წელიწადში ერთხელ	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	
4	სახანძრო-სამაშველო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	მერიის ტექნიკური პერსონალი	
5	კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	მერიის ტექნიკური პერსონალი	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
6	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
7	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
8	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ყოველ 6 თვეში ერთხელ	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	

რეაგირება

მიწისძვრის დროს თანამშრომლები თავს აფარებენ საყრდენ კაპიტალური კედლების ღიობებს ან/და თაღების შიდა კუთხეებს. ხოლო პირველი ბიძგის დასრულების შემდეგ უნდა მოვახდინოთ მათი ევაკუაცია შენობიდან მიმდებარე ტერიტორიაზე წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ადგილას (შენობის ფასადის კედლებიდან არაუმცირეს 10-15 მეტრის დაშორებით). დაუყოვნებლივ უნდა გამოირთოს შენობაში შემავალი ელექტრო გაყვანილობა და გაზომომარაგება. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შეტყობინება „112“-ზე დახმარების მიღების თაობაზე. შენობიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ დანართი N11).

გასატარებელი რეაგირების ღონისძიებების დეტალური გეგმა სცენარი
რისკის მიხედვით

ცხრილი 3.

#	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	სახანძრო-სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	„ 5 წთ “		დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
2	პირველი ბიძგების დასრულების შემდეგ საევაკუაციო გზების შემოწმება	„ 5 წთ “	ტექნიკური პერსონალი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
3	საევაკუაციო გეგმის მიხედვით პერსონალისა და თანამშრომელთა ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე	„ 5 წთ “	მერიის საევაკუაციო ჯგუფის წევრები	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
4	ევაკუირებული სივრცის გადამოწმება	„ 5 წთ “	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და საევაკუაციო ჯგუფის წევრები.	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
5	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ადგილას.	„ 5 წთ “	დაცვის პოლიციის წარმომადგენლები და საევაკუაციო ჯგუფის წევრები.	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
6	სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლამდე პირველადი რეაგირების ღონისძიებების ჩატარება.	„ 5 წთ “	მუნიციპალური შესყიდვების სამსახური	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით

7	გაზის, წყალმომარაგებისა და ელექტროგომარაგების ძირითადი საკეტების ჩაკეტვა	„ 5 წთ “	ტექნიკური მუშაკი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
8	დასახმარებლად მოსული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დახვედრა და მათი ინფორმირება შექმნილი ვითარების შესახებ	„ 5 წთ “	მუნიციპალური შესყიდვების სამსახური	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა				
9	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	„ 5 წთ “	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური შშმ პირებზე მომუშავე საბჭო	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
10	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება	„ 5 წთ “	ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამსახური შშმ პირებზე მომუშავე საბჭო	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით

აღდგენა

მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით საგანგებო შტაბი ორგანიზებას უკეთებს ზარალის შეფასებას და დაზიანებული შენობის აღდგენისათვის პირველი რიგის ღონისძიებების შემუშავებას. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოების მონიტორინგი. საგანგებო შტაბი იღებს ზომებს მერიის ფუნქციონირების სრულად და უმოკლეს დროში აღდგენის მიზნით. მიწისძვრის შედეგების მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობის და ტერიტორიის ნამსხვრევებისგან დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

დეტალური ღონისძიებები იხილეთ ცხრილ 4-ში.

გასატარებელი აღდგენის ღონისძიებების დეტალური გეგმა რისკის სცენარის მიხედვით

#	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	შენობის მდგრადობის და საექსპლუატაციო ვარგისიანობის დადგენა.	შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში	შესაბამისი საექსპერტო სამსახური	
2	გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, მიწისძვრით გამოწვეული ნარჩენების უსაფრთხო გამოტანა.	შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში	ა(ი)იპ „ჩოხატაურის სერვის ჯგუფი“	
3	დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება	შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით იქმნება ზარალის დამთვლელი კომისია.	
4	დაზიანებული კომუნიკაციების ელექტრო-ენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება.	შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში	ტექნიკური მუშაკი	
5	აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება	შეთანხმებით	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	